

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 22 ივლისის სხდომის
ოქმი №49

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 35. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, ამასთან აღნიშნა, რომ სხდომამდე, ცენტრის ხელმძღვანელის პროფ. ბ. ბარკალიას თხოვნით, დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნა მესამე საკითხი, კერძოდ: სტუ-სთან არსებული გიორგი ნიკოლაძის სახელობის სამთო კლუბ “შხარას” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. სპიკერმა, აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი (იხ. დანართი).

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. ნინო ნიკვაშვილი, ასოც. პროფ. გინა გურეშიძე.

წარმოდგენილ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ცვლილებაა სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში. სტუდენტების დადგენილი საქმიანობის კოტიდან მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან 10000 ლარი და ორდენების, სიგელების, სუვენირების და სხვა ფასიანი საჩუქრების შექმნის ხარჯების მუხლიდან 4000 ლარი, ჯამში 14000 ლარი, გადატანილ იქნეს სტუდენტთა საქსკურსიო და კულტურულ სანახაობათა ღონისძიებების ხარჯების მუხლში; კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯების მუხლიდან 8000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების მუხლში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მოხდეს ჩამოწერა, რა საკითხებისათვის სჭირდებათ ეს ცვლილება და პროგრამის სახით წარმოადგინონ, რატომ იზრდება სატრანსპორტო დანახარჯები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: გადავცემ ბატონ ბორის გითოლენდიას და წარმოადგენს პროგრამას წარმომადგენლობით საბჭოზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები.

g a d a w y v e t i l e b a #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 ივლისის №49 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ, კერძოდ:

სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან 10000 ლარი და ორდენების, სიგელების, სუვენირების და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯების მუხლიდან 4000 ლარი, ჯამში 14000 ლარი, გადატანილ იქნეს სტუდენტთა საექსკურსიო და კულტურულ სანახაობათა ღონისძიებების ხარჯების მუხლში;
- კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯების მუხლიდან 8000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების მუხლში.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში ზემო აღნიშნული ცვლილებები.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაო განრიგში ცვლილების დამტკიცების შესახებ – მომსენებელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ცვლილებაა სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაო განრიგში, კიდოდ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაო კვირა, ნაცვლად არსებული 5 სამუშაო დღისა, განისაზღვროს 6 სამუშაო დღით: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – დღეში 8 სამუშაო საათის რაოდენობით, შაბათს – 6 სამუშაო საათის ოდენობით, ხელფასის შეუცვლელად.

პროფ. ნოდარ ქაჯაია: სტუ-ს შინაგანაწესში და შრომის კოდექსში წერია სამუშაო კვირა არ უნდა აღემატებოდეს 41 საათს. 46 საათი სტუ-ს შინაგანაწესის დარღვევაა.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მაშინ ჩაიწეროს კვირაში არაუმეტეს 41 საათისა, გადანაწილდეს ისე, რომ დაიტვირთოს შაბათი დღეც.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაო განრიგში ცვლილების დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 ივლისის №49 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილიმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაო განრიგში ცვლილების დამტკიცების შესახებ, კერძოდ: სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაო კვირა, ნაცვლად არსებული 5 სამუშაო დღისა, განისაზღვროს 6 სამუშაო დღით: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – დღეში 8 სამუშაო საათის რაოდენობით, შაბათს – 6 სამუშაო საათის რაოდენობით, ხელფასის შეუცვლელად.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით – დამტკიცდა: სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს არაუმეტეს 41 საათისა კვირაში და გადანაწილდეს კვირის 6 სამუშაო დღეზე შაბათის ჩათვლით, ხელფასის შეუცვლელად.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე და მეოთხე საკითხები – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული “ენერგოაუდიტის ტრენინგ-ცენტრის” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №287; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული “ენერგეტიკის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №288 – მომხს. პროფ. გ. არაბიძე.

პროფ. გია არაბიძე: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან იქმნება “ენერგოაუდიტის ტრენინგ-ცენტრი”. ცენტრის საქმიანობის მიზანია მაღალკვალიფიციური (პროფესიონალი) ენერგოაუდიტორების მომზადება

სხვადასხვა პროფილის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, ენერგეტიკულ, სამრეწველო, სამშენებლო და საბინაო-კომუნალური სექტორისა და ენერგომომსახურების კომპანიებში დასაქმებული პერსონალის (ინჟინრების, ეკონომისტების, მენეჯერების და ა.შ.) ფართო ჩართვით ენერგეტიკული აუდიტის პროცესებში. მოწინავე ქვეყნებში ამჟამად არსებული მსგავსი ჯგუფების გამოცდილების გაზიარება.

ცენტრის საქმიანობაში მონაწილეობა შეუძლია განათლების საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

ასევე მოგახსენებთ, რომ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან იქმნება კიდევ ერთი “ენერგეტიკის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი”, რომლის მიზანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინტენსიურად განვითარდეს ენერგეტიკის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება, რაც საბოლოო ჯამში ხელსაყრელ პირობებს შექმნის ქვეყნის სრული ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევისათვის. ცენტრი ხელს შეუწყობს ენერგეტიკაში სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარებას, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, დაეხმარება ენერგეტიკულ საწარმოებს წლიური და კვარტალური ანგარიშების შედგენასა და ანალიზში, ბიზნეს-გეგმისა და სატარიფო განაცხადების კვალიფიციურად შედგენაში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე და მეოთხე საკითხები – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული “ენერგოაუდიტის ტრენინგ-ცენტრის” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №287; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული “ენერგეტიკის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” შემნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №288. წარმოდგენილი საკითხები კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 ივლისის №49 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე “ენერგოაუდიტის ტრენინგ-ცენტრის”

შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №287).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №287 დადგენილება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "ენერგოაუდიტის ტრენინგ-ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების შესახებ.

g a d a w y v e t i l e b a #4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 ივლისის №49 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "ენერგეტიკის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №288).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №288 დადგენილება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "ენერგეტიკის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული „სასწავლო-სამეცნიერო მთარგმნელობითი ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №291 – მომხს. პროფ. ნ. სიხარულიძე.

პროფ. ნუგზარ სიხარულიძე: სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან იქმნება „სასწავლო-სამეცნიერო მთარგმნელობითი ცენტრი". ცენტრის მიზანია მოამზადოს ხელშეკრულების პროექტები და სხვადასხვა დოკუმენტაცია, განახორციელოს ყველა სახის თარგმანი, როგორც ქართულიდან უცხო ენებზე, ასევე უცხო ენებიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ქართულ ენაზე. თარგმანს ექნება იურიდიული ძალა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მუხეთე საკითხი – სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული „სასწავლო-სამეცნიერო მთარგმნელობითი ცენტრის“ შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №291. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 ივლისის №49 სხდომაზე პროფ. ნუგზარ სიხარულიძემ წარმოადგინა საკითხი ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სასწავლო-სამეცნიერო მთარგმნელობითი ცენტრის“ შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №291).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №291 დადგენილება ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე “სასწავლო-სამეცნიერო მთარგმნელობითი ცენტრის” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების შესახებ.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი

ეკატერინე თევზაძე

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი

გინა გურეშიძე